საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პარლამენტს

2008 წლის 8 სექტემბერს ევროკავშირისა და მისი თავმჯდომარე ქვეყნის – საფრანგეთის პრეზიდენტის აქტიური ძალისხმევით რუსეთის ფედერაციასთან მიღწეული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარების გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან, რუსეთის ფედერაციამ შეასრულა მხოლოდ ნაწილობრივ, კერძოდ, გაყვანილია საოკუპაციო ჯარის ნაწილები სენაკი-ფოთის ხაზზე არსებული უკანონო საგუშაგოებიდან.

ამავდროულად, მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ძალისხმევისა, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ნაწილები კვლავ აგრძელებენ საქართველოს ცალკეული ტერიტორიების ოკუპაციას როგორც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ისე სხვა ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე, მოსახლეობას არ აძლევენ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების საშუალებას. სისტემატურად ავიწროებენ დისლოკაციის ადგილის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ მშვიდობიან მოქალაქეებს, აწყობენ

საქართველოს პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახური
№ 07-1/22
18.09.2008
თბილისი

პროვოკაციებს, აბრკოლებენ საგრანსპორტო საშუალებების, ჰუმანიტარული ტვირთებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადაადგილებას, რითაც ქმნიან ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის მოშლისა და განვითარების შეფერხების წინაპირობებს, აგრეთვე ვითარების დესტაბილიზაციის საფრთხეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში დესტაბილიზაციის თავიდან აცილების, დეოკუპაციის პროცესის გაგრძელების, მართლწესრიგის აღსადგენად საჭირო ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებისა და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ თანხმობას, რათა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 3 სექტემბრის N 424 ბრძანებულებით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2008 წლის 3 ოქტომბრამდე, გარდა ფოთისა და სენაკის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებისა.

მიხეილ სააკაშვილი

№ 1/322
18.09.2008